ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 102/გ

ქალაქი მცხეთა 19 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი“, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ ნემსიწვერიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,კომპანია GEOSM”-ის დირექტორის თეიმურაზ ახობაძის სახით, შემდგომში „მომწოდებელი”, *საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-9 მუხლის მე-3¹ პუნქტის ა) ქვეპუნქტის* თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში 2016 წლის 05 აგვისტოს N612 ბრძანებით შექმნილ ,,ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისათის“ ერთი ერთეული საკანცელარიო ბეჭდის შესყიდავა (CPV30192150).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ღირებულებაა 32.20 (ოცდათორმეტი ლარი და 20 თეთრი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 სამუშაო დღეში.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:

4.2 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-

ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური დაგეგმვის, ქონების მართვის და მოსაკრებლების სამსახურის უფროსი ირაკლი გარსევანიშვილი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მომწოდებელი
ქ.მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	შპს,,კომპანია GEOSM"
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7	იურიდ.მის: ქ.თბილისი,ალ.ყაზბეგის გამზ.N47
სახელმწიფო ხაზინა	ფაქტ.მის:ქ.თბილისი,მ.ასათიანის გამზ.N14
ხაზინის კოდი: TRESGE22	სს,,პროკრედიტ ბანკი"
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	ბანკის კოდი:MIBGGE22
ს/კ 236098833	ა/ნ GE45PC0223 6001 0001 0827
ელ-ფოსტა: mtskhetacityhall@gmail.com	ს/კ 404873614
ტელ: 251 21 70	ტელ: 2729119
ა.ნემსიწვერიძე	მობ: 592500702
	დირექტორი
	თ. ახობაძე

ქალაქი მცხეთა 19.08.2016წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს (შპს„კომპანია GEOSM“ ს/კ 404873614).

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ ნემსიწვერიძე

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური დაგეგმვის, ქონების მართვის
და მოსაკრებლების სამსახურის უფროსი ირაკლი გარსევანიშვილი